ონლაინ პლატფორმაზე საქონლის/პროდუქტის შეძენის/შეცვლისა და დაბრუნების წესი

<u>დამტკიცებულია შპს ლითენ თრიის დირექტორის ბრძანებით</u>

პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის:

შპს ლითენ თრიის სავაჭრო ობიექტი, შემდგომში მოხსენებული იქნება, როგორც **მოვაჭრე/გამყიდველი**

მომხმარებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს პროდუქციის/საქონლის შეძენას სავაჭრო ობიექტის ტერიტორიაზე პირადი მიზნებისთვის.

პროდუქცია/საქონელი არის სავაჭრო ობიექტზე წარმოდგენილი გასაყიდი ნივთები ან/და ის პროდუქცია რომელიც მომხმარებლის შეკვეთის საფუძველზე მზადდება ინდივიდუალურად კონკრეტული მომხმარებლისთვის.

ონლაინ პლატფორმა: **https://www.facebook.com/littentree.ge** **https://www.littentree.ge/** **https://www.instagram.com/litten_tree/**

<u>მოვაჭრის საკონტაქტო ინფორმაცია</u>

სავაჭრო ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის 26

საკონტაქტო ინფორმაცია: email: <u>info@littentree.ge</u> ;

ტელეფონის ნომერი: 599712323

1. <u>ინფორმაცია საქონლის თაობაზე</u>

1.1. ონლაინ პრატფორმაზე წარმოდგენილი პროდუქცია/საქონელი წარმოებულია საქართველოში.

1.2. გამყიდველი ზრუნავს ხარისხზე და ორიენტირებულია გამოიყენოს ბაზარზე არსებული უმაღლესი ხარისხის, ევროპული და თურქული წარმოების მასალა და მექანიზმები.

1.3. საქონლის ფასი მოიცავს, საქონლის, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ყველა გადასახადის ხარჯს.

1.4. მომხმარებელსა და გამყიდველს შორის ხელშეკრულების დადება ხდება საქონლის/პროდუქციის ღირებულების გადახდის მომენტში. საქონლის საგარანტიო ბარათის გაფორმებით ან მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტში მყიდველზე გადადის საქონელზე საკუთრების უფლება ასევე, შემთხვევით დაღუპვა/დაზიანების რისკი.

1.5. საქონლის ტრანსპორტირება თბილისის ტერიტორიაზე შესულია საქონლის ღირებულებაში, ხოლო თბილისის გარეთ განისაზღვრება მდებარეობის შესაბამისად. მომხმარებელს აქვს უფლება თვითონ უზრუნველყოს ტრანსპორტირება. ასეთ შემთხვევაში ტრანსპორტირების დროს საქონლის დაზიანების რისკი არის მომხმარებელზე.

2. <u>საქონლის შეძენის წესი:</u>

2.1. მომხმარებელი ონლაინ პლატფორმაზე არჩევს საქონელს და ახორციელებს მის შეძენას. <u>შეძენა ხდება საქონლის ღირებულების ანაზღაურებით.</u>

2.2. <u>შესაძლოა მოხდეს საქონლის შეკვეთა მომხმარებლის მიერ. შეკვეთის გაფორმება ხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ერისთავის ქ. 26. საქონლის დამზადება ხდება მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, მის მიერ შეკვეთის ფორმაში მითითებული ზომების, მასალის შესაბამისად.</u> დამზადების ვადა და მიწოდების პირობა განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით.

2.3. საქონლის, ონლაინ პლატფორმაზე შერჩევის შემდგომ, მომხმარებელი ახორციელებს საქონლის ღირებულების ანაზღაურებას და აფორმებს აქტს.

2.4. საქონლის შეკვეთის შემთხვევაში მომხმარებელი მიმართავს გამყიდველს ზემოხსენებულ მისამართზე.

2.5. მხარეებისთვის ცნობილია, რომ საქონლის მასალის (გარდა ფურნიტურა/აქსესუარებისა) ქარხნული ნაკლის იდენტიფიცირება შესაძლებელია საქონლის მომხმარებისთვის გადაცემის მომენტში. მომხმარებელი ათვალიერებს საქონელს და ხელს აწერს საქონლის მიღება-ჩაბარების აქტს.

3. საქონლის გადაზიდვა

3.1. საქონლის გადაზიდვას ახორციელებს გამყიდველი ან მომხმარებელი.

3.2. თუ გადაზიდვას ახორციელებს გამყიდველი - ის პროდუქციას მყარად ფუთავს და აწოდებს მომხმარებელს, წინასწარ შეთანხმებულ მისამართზე.

3.3. მომხმარებელი უფლებამოსილია უარი თქვას მიწოდებულ საქონელზე, მიწოდებიდან 14 დღის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, ის უგზავნის გამყიდველს შევსებულ და ხელმოწერილ „საქონლის დაბრუნების ფორმას“ და თავად უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას გამყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე, ფორმის გაგზავნიდან 3 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში მომხმარებლის მიერ საქონლის მოხმარება, გახსნა და აწყობა არ უნდა განხორციელდეს საქონელის შეფუთვა უნდა მოხდეს ზუსტად იმ პირობებით და მდგომარეობაში, როგორც მიაწოდა გამყიდველმა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი.

4. <u>ხელშეკრულებაზე უარის თქმა/საქონლის დაბრუნება/საგარანტიო პირობები</u>

4.1. <u>თანხის გადახდით მომხმარებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და მისთვის ცნობილი იყო ის წესები და რეგულაციები, რაც დადგენილი აქვს გამყიდველს.</u>

4.2. <u>საქონლის ნაკლად მიიჩნევა მისი არსებითი შეუსაბამობა ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებთან. არსებითი შეუსაბამობა გულისხმობს, რომ ნასყიდობის საგნის, გამოყენება იმ დანიშნულებით, რა დანიშნულებითაც ის დამზადდა არის შეუძლებელი.</u>

4.3. <u>საქონლის შეძენის/გადაცემის დროს მომხმარებელს გადაეცემა საგარანტიო ტალონი. აღნიშნული დოკუმენტი უნდა იყოს შენახული შეძენიდან 2 წლის განმავლობაში.</u>

4.4. ნებისმიერი წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც არ არის გამოწვეული მომხმარებლის მიერ ან/და ნებისმიერი სხვა პირის ზემოქმედებით ან/და სხვა ნებისმიერი ქმედებით, მომხმარებელი უფლებამოსილია მიმართოს გამყიდველს შეძენიდან 2 წლის განმავლობაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ პროდუქციას აქვს გამოყენების კვალი და დაზიანება გამოწვეულია ზემოქმედებით, ასევე, მომხმარებელი ვერ წარმოადგენს საგარანტიო ტალონს გამყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას მის შეკეთებაზე.

4.5. გამყიდველის მიერ დადგენილი გარანტია ვრცელდება: ფურნიტურასა და აქსესუარებზე.

4.6. თუ მომხმარებელი გამყიდველთან შეიძენს მატრასს, საგარანტიო მომსახურება ვრცელდება მხოლოდ შიდა კონსტრუქციაზე.

4.7. ის ნაკლი, რომელიც არ ახდენს გავლენას საქონლის ნორმალურ მოხმარებაზე (და ნორმალური მოხმარება გულისხმობს საქონლის მისი შინაარსობრივი ნიშნით გამოყენებას შეუფერხებლად) წარმოადგენს უმნიშვნელო ნაკლს.

4.8. გამყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას საქონლის შეკეთებაზე/შეცვლაზე (სხვა მოდელზე ან/და იმავე მოდელზე/შეკეთებაზე) თუ დაზიანების გამოსწორების ღირებულება ერთჯერ აღემატება საქონლის ღირებულებას, ანუ აღნიშნული წარმოადგენს არათანაბარზომიერ და შეუსაბამოდ დიდ ხარჯს.

4.9. საქონლის დაბრუნებისთვის მომხმარებელი ვალდებულია წარუდგინოს გამყიდველს გაყიდვის ობიექტში საგარანტიო დოკუმენტი და გადახდის ქვითარი. მომხმარებელი უფლებამოსილია ქვითრის ნაცვლად წარადგინოს საბანკო ამონაწერი. გამყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მომხმარებელს საბანკო

ამონაწერი დამოწმებული შესაბამისი წესით ბანკის სველი ბეჭდით, შესაბამისი გადახდის თაობაზე, სადაც ნათლად ჩანს, რომ გადახდის მიმღები, თარიღი და თანხის ოდენობა.

4.10. საქონლის დაბრუნების/გადაცვლის დროს საქონელი არ უნდა იყოს გამოყენებული, სხვა შემთხვევაში მომხმარებელი კარგავს საქონლის ღირებულების სრულად დაბრუნების უფლებას.

4.11. მტკიცების ტვირთი დაზიანებასთან მიმართებით, საქონლის შეძენიდან 6 თვის განმავლობაში, წარმოადგენს გამყიდველის ვალდებულებას, ხოლო შემდგომ 2 წლამდე მომხმარებლის ვალდებულებას.

4.12. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, ზემოხსენებული გარანტია არ გამორიცხავს კანონისმიერ გარანტიას, რომელიც ვრცელდება საქონელზე შეძენიდან 2 წლის განმავლობაში.

5. <u>ხელშეკრულების სხვა პირობები</u>

5.1. თუ საქონლის დაზიანების შემთხვევაში მისი შეკეთება განხორციელდა მესამე პირის ან/და თავად მომხმარებლის მიერ აღნიშნულ შემთხვევაში საგარანტიო პირობებით სარგებლობის უფლება მომხმარებელს ეზღუდება.

6. <u>საქონლის/პროდუქციის შეკეთების პირობები</u>

6.1. პროდუქციის შეკეთების მიზნით, მომხმარებელმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს გამყიდველს. თუ დაზიანება არ არის ზემოხსენებული საგარანტიო პირობების ფარგლებში შესაკეთებელი, გამყიდველი უფლებამოსილია აცნობოს მყიდველს დაზიანების გამოსწორების ღირებულება. მომხმარებელი უფლებამოსილია უარი თქვას შეკეთებაზე, თუმცა ამ შემთხვევაში, საგარანტიო მომსახურების ფარგლებში მტკიცების ტვირთი, რომ აღნიშნულმა შეკეთებამ არ გამოიწვია სხვა დაზიანება საქონელზე ეკუთვნის მყიდველს.

<u>ანგარიშსწორებით მომხმარებელი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე წესებს, მისთვის გასაგებია წესები და მისაღებია.</u>